იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

პარასკევი 15 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ.

„იმერეთი“

თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 130 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 130

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონ გიორგის ძე ბერძენი და ასული მისი ნინა (ნუნუ) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 15 ამა აგვისტოს, დილის თერთმეტ საათზე ქ. ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველისა უსაყვარლესის მეუღლის და მეორისა ძვირფასის დედის,

ᲓᲔᲡᲞᲘᲜᲔ

პროკოფ საბაშვილის ასულის სულის მოსახსენებლათ.

ᲛᲘᲜᲐᲓᲝᲠᲐ ᲓᲣᲜᲓᲣᲐᲡ

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ,

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი სააბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9. სათ. -2 საათ.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებსა შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა,** რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება ᲫᲚᲘᲔᲠ ᲘᲐᲤᲐᲗ. აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე	ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია	„ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა	„ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით	„ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული)	„ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი	„ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი.	„ 3 „
8. მოძრავი ანბანი	„ 2 „
9. იგივე კარდონზე	„ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო	ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა	„ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა	„ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა	„ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი	„ 2 „.
6. ალ. ჰიჰინაძე. გეოგრაფია	„ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი.	„ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.	
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი	„ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში.	„ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ	„ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორის მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა	ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა	ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა	2 შაური (ყდით 3 შაური)
„მაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის	3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“	2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ

ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევა

მომავალის ოთხის წლისათვის (1914—1918) წრეულს მოხდება ორშაბათს, 8 სექტემბერს, გამგეობის დარბაზში.

მოწოდება.

ქუთაისის ქალაქის მოურავისა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭირვებული, ომიანობის დრომ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გალატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ქირისუფალი.

ჯარის კაცებათ [illegible] გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

საძრახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწირონ: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲓᲔ:

ᲓᲘᲚᲘᲗ.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ** შინაგანი და ნევრების.

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1— 2
გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე	11—2
მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½2მ

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
გ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ

მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან.

ექიმი **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

ექიმი **კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) იკვლევს **გასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ

ექიმის **ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘᲡᲐ** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმი **ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი.** განაახლა **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ექიმი **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5— 8 საათ.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **გ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ᲓᲐᲛᲔᲙᲐᲠᲒᲐ ᲐᲢᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ 471,

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

ექიმი **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9 12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

სრულიად ევროპის ომი

დეპეშები

პეტ. ტელ. სააგენტოსაგან.

სოფია. 13 აგვისტო. ბულგარეთის მისიამ გამოაცხადა შემდეგი ცნობა:

რუსეთის საიმპერატორო მისიაში ბულგარეთის სხვადასხვა ადგილებიდან და სხვადასხვა პროვინციის პირთაგან მოდის თხოვნები იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნენ მოხალისეებათ რუსის ჯარში. ვინაიდან საელჩოს საშუალება არა აქვს თითოეულათ უპასუხოს მთხოვნელებს, ამიტომ აცხადებს, რომ უცხო ქვეყნის მთხოვნელები მოხალისეებათ არ მიიღებიან.

საელჩო უცხადებს ყველა მთხოვნელებს ულრმეს მადლობას იმის გამო, რომ მათ სურვილი აქვთ იბრძოლონ რუსის ჯართან ერთად სლავიანთა დიდებულ საქმისათვის. ის გრძნობანი, რომელიც გამოთქმულია თხოვნებში, კვლავ დაუმტკიცებს რუსეთის საზოგადოებრივ აზრს, რომ ბულგარეთის ხალხს ჯერ კიდევ ახსოვს დიდებულ დღეები შიპკა და შეინოვისა, სადაც ბულგართა ჭაბუკები მხარ და მხარ იბრძოდენ რუსეთის ჯართან. ეს გრძნობანი ის გვირგვინია, რომელიც მიუძღვნეს კეთილშობილმა ბულგარებმა ორასი ათასს რუსის მხედრობას, რომელთაც თავი თვისი დასდვეს ბულგარიის ველებსა და მთათა შორის ბულგარეთის ხალხის თავისუფლების და ბედნიერებისათვის.

რომი. ელჩი ბელლატი ბერლინს გაემგზავრა.

პარიზი. ბელგიაში მომხდარ დიდი ბრძოლის შესახებ ,,ტანი'' სწერს: მართალია, ის იმედი, რომ დაწყებული ომი ჩვენის სწრაფის გამარჯვებით გათავდებოდა, არ გამართლდა, თუმცა მისი ხანგრძლივობა უეჭველი იყო ყველა იმისათვის, ვინც კი იცნობდა გერმანიის ძალასა და მდგომარეობას, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება და ჩვენი რწმენა მაინც შეურყეველია, მოკავშირენი იქამდი არ ჩააგებენ თავის ხმალს, იმ ხმალს, რომელიც მათ ძალით ამოაღებინეს ქარქაშიდან, ვიდრე საბოლოვოთ არ გაამტვერებენ გერმანიის გულის თქმას მთელის ქვეყნის დამონების შესახებ.

ლონდონი. 13 აგვისტო. ბეჭვდითი ბიურო იუწყება, რომ ინგლისელებმა დაიკავეს ახალი პოზიციები თითქმის შეუწყვეტელი ბრძოლით. პოზიციების დაკავების ყველა ოპერაციები დიდი გამჭრიახობით შეასრულეს პირველი და მეორე ლაშქართა უფროსებმა. ინგლისელთა წინაალმდეგ იბრძოდა გერმანელთა ორი კორპუსი და ორი ცხენოსანთა დივიზია. მტერმა დიდი ზარალი ნახა. ინგლისელთა მიერ დაკავებული პოზიციები კარგათ არის გამაგრებული.

ოდესა. 13 აგვისტო. სტამბოლიდან მიღებულია ცნობა, რომ ოსმალთა სამხედრო მზადება დიდი სისწრაფით გრძელდება. გერმანიის სამხედრო მისია უახლოესი თანამშრომელია ოსმალთა სამხედრო მინისტრისა. ბევრი სავაჭრო გემები, მათ შორის გერმანიისაც ოსმალეთის დროშის ქვეშ, გადააქციეს ტრანსპორტებათ ჯარისა, იარაღისა და სანოვაგის გადასაზიდათ. ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ სამხედრო სამზადისს მიზნად აქვს ბალკანეთზე წონასწორობის დაცვა, განსაკუთრებით-კი კუნძულების საკითხის ოსმალეთის სასარგებლოთ გადაწყვეტა. სანოვაგის შემოუტანლობის გამო ცხოვრება გაძვირდა, ვაჭრობა თითქმის შესწყდა. სააგენტოსა და კერძო ტელეგრამები სამხედრო ცენზურის კანტროლს ქვეშ იმყოფება, რომელშიაც მონაწილეობენ გერმანელი აფიცრები. პრესას ევალება გერმანელებისათვის სასარგებლო ცნობები ათავსოს. თუ მთავრობამ მოახერხა დიდ სახელმწიფოთა უმავთულო ტელეგრაფის სტაციონერების გაძევება, მაშინ ტელეგრაფი მხოლოდ გერმანიის მისიის ხელში დარჩება. ბათუმიდან გაქცეული გერმანელთა საოკეანო გემი ,,პორკოვადო'' გადაქცეულა სამხედრო ტრანსპორტათ გერმანელ აფიცერთა უფროსობით.

კოპენჰაგენი. 13 აგვისტო. ვენიდან იუწყებიან, რომ იაპონიის ელჩს პასპორტები უკან დაუბრუნეს.

ტოკიოში მყოფი ავსტრიის ელჩი სამშობლოში გაიწვიეს.

პარიზი. გავასის სააგენტომ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: როგორც სჩანს გერმანელები გუშინ ჩრდილოეთში შეწყვეტილ იერიშს ახლებენ. მათ ფრანგები და ინგლისელები ეწინაალმდეგებიან. ბელგიელები ანტვერპენის ციხიდან გამოვიდენ უეცარის იერიშით გერმანელთა ჯარის წინა ნაწილი დაამარცხეს. ამის შემდეგ მეხელნს იქით გადვიდენ. ლოტარინგიაში მთელი რიგი კონტრ-ატაკის შემდეგ, ფრანგების ჯარის მარჯვენა ფრთამ დაიხია, მდინარე მერტის გასწვრივ მდებარე მთებისაკენ ლიუნევილისა და ნანსის შუა.

ელზასში ფრანგებმა მოიგერიეს გერმანელთა რამდენიმე იერიში, რომელიც კალმარისკენ იყო მიმართული. ის ხმები, თითქოს გერმანელებმა მიულგაუზენი აიღესო, ჯერჯერობით საბუთს მოკლებულია, ასეც რომ არ იყოს, ელზასთან ბრძოლას მაინც აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა.

ლონდონი. ბეჭვდითი ბიურომ გამოამჟღავნა სია ბელგიაში გერმანელების მიერ ჩადენილ მხეცობისა, როგორც მაგალითად, სროლა სანიტარებზე, ექიმებზე, ტყვეებისა და კერძო პირების დახვრეტა, არსხოტეს მცხოვრებთა მრავალი რიცხვის სიკვდილით დასჯა, სოფლების დაწვა, ქალებზე სროლა, თეთრი ბაირაღების მოტყუებით, ბოროტათ სარგებლობა და მრავალი სხვა. ბეჭვდითი ბიურო აუასტურებს, რომ ავსტრიელები ყველა ამ მხეცობას სოფლებში ხალხის შესაშინებლათ ჩადიოდენ.

ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც ბრიუსელია, სადაც არიან ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენელი ექცესები არ ხდებოდა,

ნოვოჩერკასკი. 13 აგვისტო. ყანებს ყველგან ყაზახის ქალები მკიან. სტანიცების და ხუტარების საზოგადოებანი მათ დახმარებას უწევენ.

კოპენჰაგენი. 13 აგვისტო სილეზის გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რომ რეიხსტაგის წევრი პოლონელი კოპელან პოსპეხი, გაზეთ ლიუდოვოის ხელმძღვანელი ბეიტელის ციხეში ჩასვეს.

მოსკოვი. 13 აგვისტო. მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა კრებამ დაადგინა გადასდოს ერთი მილიონი მანათი დაჭრილთათვის გოსპიტალის მოსაწყობათ ათასი საწოლით.

ვიატკა. 13 აგვისტო. გუბერნატორმა დედოფალი ალექსანდრა ფეოდორის ასულისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: სულით და გულით მადლობელი ვარ თქვენი ჩვენი ძვირფასი ჯარის კაცებისა და მათი ოჯახების სასარგებლოთ ერთსულოვან მუშაობისათვის. ღმერთი იყოს თქვენი შემწე

ალექსანდრა.

პეტერბურგი. 13 აგვისტო. უმაღლესი მთავარ სარდალი აცხადებს, რომ ჩვენმა ჯარმა აღმ. პრუსიაში დაიკავა ქალაქები: ნორდენბურგი, ბიშოფსბურგი, ზენსბურგი და აგრეთვე როსტორლინის სადგური აღმ. გალიციაში.

ავსტრიის არიერგარდები მდ. ოქროს ლიპას იქით გადადენეს. თავდასხმა გრძელდება.

პეტერბურგი. 13 აგვისტო. პრილუკსის ერობამ გადასდო 3000 მანეთი მოთავდარიგო ჯარისკაცებთა ოჯახების სასარგებლოთ, 100 მანეთი წითელი ჯვრის სასარგებლოთ და 50 დაჭრილის მოსათავსებლათ სახლი დაუთმო. ლიუფლიანდიის თავად-აზნაურობამ 10000 მანეთი გადასდო საერთო საერობო ორგანიზაციისთვის. სემიპალატინსკში პოლონელმა ექიმმა ბელობუევსკიმ გუბერნატორს, ომის საჭიროებისათვის, 1000 მანეთი გაუგზავნა.

სოსაში ელინთა საზოგადოებამ დაჭრილთა სასარგებლოთ 1050 მანეთი შეკრიბა უფის თავად-აზნაურობამ 30000 მ. გადასდო საერთო საერობო ორგანიზაციისთვის და დაადგინა რომ მიეცეს ერთდროული დახმარება 100 მ. წლიურათ-კი 300 მან. ჯარში გაწვეულ თავად-აზნაურთა ოჯახებს უფის ერობამ გადასდო სრულიად რუსეთის საერობო კავშირისათვის 100,000 მან. დაჭრილთა საგუბერნიო კომიტეტისათვის 10,000 მან. დაჭრილთა საავათმყოფოსთვის 300 მან. და 10,000 მანეთი ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ.

სხვადასხვა ქალაქებიდან მიღებულია დეპეშები, რომელშიაც მოხელეები აცხადებენ ომის სასარგებლოთ ჯამაგირიდან ნაწილის გაღების სურვილს.

პეტრებურგი. 13 აგვისტო, იმ კომიტეტმა, რომელიც ამორჩეულია შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, ჯარში გაწვეულ მოსამსახურეთა ოჯახების დასახმარებლათ მუშაობა დაიწყო.

თავჯდომარეთ არჩეული იქნა. მ. ლ. მაკლაკოვისა.

კომიტეტმა დაადგინა გახსნას ლაზარეთი 30 საწოლით და მოაწყოს საწყობი ჯარის კაცებისთვის თეთრეულების დასამზადებლათ.

მიწათმომწყობს სამინისტროს მთავარ გამგემ და უმთავრესმა ინტენდანტმა უკვე დაამტკიცეს წესდებანი ჯარისათვის პურისა, ფქვილისა, ბრინჯისა, შვრიისა და ქერის დამზადების შესახებ.

განათლების მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ მცირე გამოცდის შემდეგ, ექიმის ხარისხი მიეცეთ ვისაც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მიუღიათ საექიმო განათლება სიმწიფის მოწმობის მოუთხოვნელათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ქალაქის თვათმართველობებს, დაუყოვნებლივ განიხილონ საკითხი ადგილობრივ საჭიროებისათვის ხარჯების შემცირებისა და ადგილობრივ ბაზარზე პირველ საჭიროების დამაკმაყოფილებელ საგანთა შემოტანის შესახებ და მიიღონ ზომები, რომ ფასები სანოვაგეზე უწესოთ არ იყოს აწეული.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრიუსსელში.

ბრიუსელი მთლად მოწყვეტილი იყო დანარჩენ ბელგიისაგან. ბრიუსელებს ეგონათ, რომ გერმანელები იერიშს არ მიიტანდნენ მაზე. მაგრამ როდესაც გერმანელებმა ხელლენი, დიესტი და ეგეზეე აიღეს, აღარავისთვის საიდუმლო აღარ იყო, რომ ბრიუსსელსაც ეწვეოდნენ.

მთავრობა, მეფის ოჯახობა და პარლამენტი ანტვერპენს გაემგზავრენ, მცხოვრებლებმა ფლანდრიას მიაშურეს—უფრო კი ზღვის ნაპირებს: ოსტენდეს, ბლანკენბერგს და გეისტს.

მეფემ მომქმედ ჯარში გასწია. მაგრამ ეშინოდა, რომ, თუ გერმანელები ბრიუსელს აიღებდნენ, ნამდვილს ჯოჯოხეთს გამართავდნენ სა[illegible] ქალაქში. — მეფეს მეტადრე იმის [illegible], რომ გერმანელები არ დაინდობდნენ იმ შენობებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო ხუროთ მოძღვრებისთვის. ამიტომ ბრიუსსელის რატუშაში, რომელიც ულამაზეს შენობას წარმოადგენს - გოსპიტალი გამართეს და ზედ უშველებელი წითელი ჯვარი ააფრიალეს.

მეფის სასახლეზედაც წითელი ჯვარის ბაირაღი ამართეს.

„სიკვდილის გუსართა“ დროშა.

გერმანიის კავალერიის საუკეთესო პოლკათ „სიკვდილის გუსართა“ პოლკი ითვლება. ამ პოლკს განსაკუთრებული ფორმა აქვს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თავზე გადაჯვარედინებულ ძვლებსა და თავის ქალას ატარებენ. ბელგიელებმა ამ პოლკს დროშა წაართვეს და ეხლა ქალაქ დიესტის მერიაშია გამოფენილი.

კლემანსოს წერილი.

მიმდინარე მთავარ ბრძოლის შესახებ კლემანსო სწერდა: „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, თუნდაც მტერმა რამდენსამე ადგილას ჩვენი ტერიტორია დაიკავოს. მეორე რიგის ჩვენ საგარეო ჯარებს მუდამ შეუძლიანთ შემოსეულ მტრის უკუგდება. ჩვენს გენერლებს არ სჯერათ, რომ შეიძლებოდეს ჩვენი დამარცხება, მაგრამ თუნდაც დავმარცხდეთ პირველში, საფრანგეთისთვის ეს ადვილად გამოსასწორებელი დამარცხება იქნება. გერმანიის ჯარების გარეკა კი საფრანგეთის საზღვრებიდან, გერმანიისთვის გაუსწორებელი დამარცხება იქნება, რომელიც გამოიწვევს მათს ჯარში სულის დაცემას და არევ-დარევას''.

ვინ სარდლობს გერმანიის ჯარებს?

პეტერბურგში მოსული ცნობით მაასი? ჯარს სარდლობს გენერალ-პოლკოვნიკი ფონ-ბიულოვი, ბელგია-ლიუქსენბურგის ჯარს — გენ.-პოლ. მინისტრი ფონ-გეირინგენი (ყოფილი სამხედრო), ლიუქსენბურგ-ტიონკილის ფრონტის ჯარს — გენერალ-პოლკოვნიკი ფონ-ეიხორნი, ლოტარინგიის ჯარს-პრინცი რუპრეხტ ბავარიელი და დასასრულ ელზასის ჯარს — ჰერცოგ ფრიდრიხ 2 ბადენისა.

მეტერლინკი.

როგორც ,,ბირჟ. ვედ.'' ატყობინებენ კოპენჰაგენიდან, სახელგანთქმული. ბელგიელი მწერალი მორის მეტერლინკი მძიმეთ დაჭრილა დიესტთან ბრძოლის დროს

პიშონის აზრი ომზე.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პიშონმა წერილი დაბეჭდა ,,პტი პარიზიენში'', სადაც სხვათა შორის ამბობს: ომი ხანგრძლივი და სასტიკი იქნება. დეე, ჩვენი ზარალი დიდი იყოს, ჩვენ მაინც უნდა გავიმარჯვოთ.

ბ. ს. კაკაბაძის წერილის გამო. *)

ბ. რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს და ამით საშუალება მომცეთ თავი ვიმართლო იმ აშკარა ცილის-წამებისგან, რომლითაც ამხედრდა ჩემზე ბ. ს. კაკაბაძე გაზ. „თემი“-ს 185 №-ში*).

ბ. კაკაბაძე თავის საპასუხო წერილში ამბობს:

„ბ. აბულაძემ მოწმეების თანადასწრებით (?!) წინადადება მომცა წ. კ. საზ. მუზეუმში შევერთებულიყავით გამოცემის მხრივ, რადგან თავის გამოცემას ის უვარგისად სცნობდა-“ო. ეს ასე არ არის.

ბ. კაკაბაძე ყოველთვის ჩემთან ერთად სტოვებდა მუზეუმს და გზაში მოსვენებას არ მაძლევდა, „თუ კაცი ხარ, გამოვსცეთ ერთად „ვეფხის-ტყაოსან-“ო, და ამგვარ თავის თხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ მას ფულით შეძლება არა ჰქონდა და უფრო კიდევ იმით, რომ ეს საქმისთვის აჯობებდა, რადგან შეერთებული ძალით შედგენილი წიგნი უფრო დააკმაყოფილებდა ხელის-მომწერლებს. ამგვარი თხოვნით ბ. კაკაბაძემ მომმართა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას სამის ფორმის მეტი არ ჰქონდა დასტამბული.

ამგვარივე თხოვნით მიემართა მას ერთის თფილისელი მესტამბისთვისაც, როგორც ეს შემდეგში გავიგე.

ერთხელ, მუზეუმში, რომ განვაახლეთ ამის შესახები საუბარი, მე დავპირდი ბ. კაკაბაძეს: „შემოიარე ჩემთან და მოვილაპარაკოთ მეთქი“. ბ. კაკაბაძემ ამაზე ხმა-მაღლა დაიწყო ლაპარაკი ბ. დ. დ. კარიჭაშვილის გასაგონად, შენ იყავი მოწმე, რო მპირდება შეთანხმებასო. მე ამ უკანასკნელი გარემოებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმიცია და არც დღეს ვაძლევ. ამ დროს მე მუზეუმიდან გავდიოდი და ბ. კაკაბაძეც თან გამყვა და გზაში სულ შეთანხმების შესახებ მელაპარაკებოდა.

მე სულ ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს ვუთხარი, „კარგი, შემოიარე საღამოს და ვნახოთ მეთქი„.

ჩემი მდგომარეობა მაშინ ასეთი გახლდათ. მე ვსტამბავდი წიგნს სპ. ლოსაბერიძის სტამბაში აკადემიური შრიფტით. ეს პირველი ცდა იყო ჩემის მხრით დამოუკიდებლად წიგნის გამოცემის და, უნდა გამოვტყდე, ამ მხრით არავითარი გამოცდილება არა მქონდა.

ამიტომაც ყოველი კორექტურული შეცდომა უმნიშვნელოც კი, გულს მიწვრილებდა. ამით აიხსნება, რომ სრულიად უმნიშვნელო შეცდომისთვის ხელახლად დავასტამბვინე პირველი ფორმა;

შემდეგ განვაგრძე სტამბვა და დავბეჭდე რამდენიმე ფორმა, მაგრამ მესამე ფორმა, რადგან კმაყოფილი არ ვიყავი, ხელ-ახლად უნდა დამესტამბა; ამას გარდა მე— 7-ე ფორმა ჯერ არ დამესტამბა, რომ ხელის-მომწერლების რიცხვმა შესამჩნევლად იმატა და ის რიცხვი, რომელიც ისტამბებოდა, ხელის მომწერლებს აღარ ეყოფოდა, რადგან სამასით მეტი იყო ხელის მომწერი, რომელთაგან ზოგისგან ნახევარი და მცირედი ნაწილისგან სულ ფული მიღებული მქონდა.

ამნაირად რომ დამეკმაყოფილებინა ხელის მომწერლები, მე ხელ-ახლად უნდა გამეწია ყველა ფორმის აწყობის ხარჯი, რომ შემევსო ხელის-მომწერთათვის საჭირო რიცხვი. ამას დაამოწმებს, როგორც ჩემი ასოთ-ამწყობი, ისე მესტამბე ლოსაბერიძე, რომელთაც არა ართხელ შევსჩივლე ამის შესახებ.

ამას გარდა, ქაღალდიც გამოუცდელობით ნამეტანი ძვირი ავირჩიე და ისიც მეტად იშვიათი, ასე რომ ეს ქაღალდი, რადგან მე იმ თავითვე მთელის გამოცემისთვის ქაღალდის ყიდვა, უსახსრობისა გამო, არ შემეძლო, აი ეს ქაღალდი ამხანაგობას სრულიად მიეყიდა სხვისთვის დიტიატკოვსკის და ახალის ქაღალდის მიღებას დიდი დრო უნდოდა. მაშინ ზამთარი და, მაშასადამე, ზვავების დრო იყო და გამოწერილი საქონელი ძალიან იგვიანებდა.

აი სწორედ ეს დრო იყო, რომ ბ. კაკაბაძე საღამოს ჩემსას მოვიდა, შეპირებისამებრ, ავლაბარში. მოვილაპარაკეთ. ამის შესახებ ბ. კაკაბაძემ კიდეც შესჩივლა ბ. დ. დ. კარიჭაშვილს: საკვირველი კაცია!.. დამიბარა და დრო ტყვილა დამაკარგვინაო, თუმცა ბ. კაკაბაძეს ამის მოძალე არავინ ყოლია. იმ დღესაც ერთად გამოვედით მუზეუმიდან.

ბ. კაკაბაძე გზაში მოსვენებას არ მაძლევდა, შევთანხმდეთო და ამასთანავე მპირდებოდა, თუ კაცი ვარ, ქალთა უმაღლეს კურსებზე ლექტორად გაგიყვანო, თუმცა ამას ბ. კაკაბაძეს არასოდეს არ შევხვეწივარ. ბოლოს გამოთხოვებისას ბ. კაკაბაძემ დამპირა, საღამოს შემოვიარ, და თუ ღმერთი გწამს, ტყვილა ნულარ მომიყვანო'', მე, რასაკვირველია, იმედი არ მიმიცია, რადგან ჯერ გადაწყვეტილებას ვერ დავდგომოდი. ბოლოს მან საათი დამინიშნა, თუ როდის უნდა შემოსულიყო ჩემსას.

შინ რომ მივედი, შინაურებმა ძალიან მისაყვედურეს, რა დავემართა, რომ ერთის წიგნის გამოცემა მაგრე გეძნელებაო.

გადავწყვიტე ბ. კაკაბაძისთვის უარი მეთქვა და მალე, უსადილოდ, უკანვე გავბრუნდი რომ შემეტყობინებია ბ. კაკაბიძისთვის ამაოდ აღარ გარჯილიყო.

ბ. კაკაბაძე შემხვდა ერევნის მოედანზე, ის მიოიოდა სასადილოში, რომ გავუცხადე ჩემი უარი.

მან, ჩვეულებრივ, ზომიერება დაჰკარგა:—„რას გავს ესო“, თითქო. დიდი დამნაშავე ვყოფილიყავი.

ამ დროს გამოიარა ნაფიცის ვექილის თანაშემწემ სილ. გაბუნიამ, რომელიც ჩემის სკოლის ამხანაგი იყო. ის ძალიან დახლოებული და მეგობარი ყოფილა ბ. კაკაბაძის, —ჩემი ნამოწაფარიო.

ბ. სილ. გაბუნიამ გამოიდვა თავი ბ. კაკაბაძის ნაცვლად და მითხრა: „თუ ბ. კაკაბაძე არ გაგიტანს, ყველაფერში პასუხს მე ვაგებო''. ასე იყო თუ ისე, დამიყოლიეს და გამართეს ჩემთან მოლაპარაკება. ამისთვის ბ. გაბუნიამ შინ მიგვიწვია.

იმ საღამოსვე შეადგინეს პირობის ქაღალდი, რომელზედაც მე ვერ დავთანხმდი. ბ. კაკაბაძემ მთხოვა, ხვალამდი მოიფიქრე და კომერციულ სასწავლებელში გინახულებო. მეორე დღეს ბ. კაკაბაძე კომერციულ სასწავლებელთან შემხვდა. მე უარი განუცხადე და გადაჭრით ვუთხარი ბ. კაკაბაძეს: ,,მაგის შესახებ ვსწყვეტ ლაპარაკს მეთქი''.

საღამოს სილ. გაბუნიას კიდევ წერილი გამოეგზავნა, მთხოვდა მივსულიყავი. მე ჯერ არ მინდოდა წასვლა, მაგრამ სხვა საქმე მქონდა იქითკენ და იქაც შევიარე. გაიმართა მოლაპარაკება. არ ვთანხმდებოდი. ექიმი სავლე წერეთელიც იქ იყო. ისიც კი წამოვაყენე მიზეზად, რომ ბ. კაკაბაძე აუტანელის ხასიათის ადამიანია და მასთან მუშაობა შეუძლებელია მეთქი; ამაზე ბ. სილოვან გაბუნიაც შეთანხმოდა. ბ. საველე წერეთელმა კიდეც შეგვნიშნა, რა დაგიშავათ ამ კაცმა!.. აქაც ბ. სილოვან გაბუნიამ განმეორებით დამპირდა, შენ ნუ გეშინია, მე ვიქნები ბ. კაკაბაძის თავმდებიო!

ასე თუ ისე ხელშეკრულობას ხელი მოვაწერეთ.

მეორე დღეს ბ. კაკაბაძემ დილა-ადრიანად გადასცა „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციას თავისი საკუთარი ხელით დაწერილი და მისივე შედგენილი განცხადება ჩვენის შეთანხმების შესახებ, რომ ჩვენ ერთად უნდა შევგვესრულებია საგამომცემლო მუშაობა ხელისმომწერთა უკვე დასაკმაყოფილებლათ. მეც იმ დღესვე იმ ავანსიდან, რომელიც დიტიატკოვსკის ამხანაგობისთვის მქონდა დიდი

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის თხოვნისამებრ უცვლელად, რათა ბ-ნ აბულაძესაც სიტყვა არ წაერთვას. **რედ.**

*) გაზ. „თემი“-ს არსებობა მოისპო ამ ნომრის შემდეგ და ამით საშუალება წაერთვა ბ. კაკაბაძისთვის იქვე მიმეცა პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამასთანავე ჩვენ კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ გვებრძვის ყველაზე ძლიერესი ჯარი ევროპისა. ჩვენ უნდა მოვიკრიფოთ მთელი ჩვენი სულიერი და ზნეობრივი ძალები და იმავ დროს არ დავკარგოთ სიმშვიდე სულისა.

კრონპრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი.

როგორც ამბობენ, კრონპრინცი ფრიდრიხ ვილჰელმი დიდი ხანია ევროპის ომზე ოცნებობდა; იმპერიის კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი კარგს არას ხედავდა გერმანიისთვის ამ ომში და წინააღმდეგი იყო. ამისთვის კრონპრინცს კანცლერი სძაგდა. ერთს თავის წერილში პროფესორ ბუხგოლცთან, კრონპრინცი ბეტმან —ჰოლვეგს „იყოლად უვარგისს! მჩვარს“ უწოდებს.

ერთი თვის წინეთ კრონპრინცი ინგლის ელჩ გოშენთან ატარებდა დროს. ელჩთან ლაპარაკის დროს კრონპრიცმა დაუფარავად გამოსთქვა ის აზრი, რომ სამხედრო ატაშეები ჯაშუშები არიანო. ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა ინგლისის სამხედრო ატაშეც. ინგლისის გაზეთებმა ეს ამბავი დაბეჭდეს და თან დასძინეს: „თუ იმპერატორი ვილჰელმი ცოტაც არის აფასებს თავის კეთილგაწყობილებას ინგლისთან, მან უნდა აუხსნას თავის შვილს, რომ ინგლისის სამხედრო ატაშეს თანადასწრებით ასეთი აზრების გამოთქმა ყოვლად შეუძლებელია‘“

◆

სამთა კავშირი და ოსმალეთი.

ამ ჟამად დიდი ბრძოლაა გამართული ოსმალეთში ნეიტრალიტეტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. ძნელია გამოიცნოს კაცმა, როგორ დაბოლოვდება ეს ბრძოლა, რადგანაც ოსმალეთის მესვეურნი პოლიტიკურ მომენტის შეფასებაში, არავი იცის, რითი ხელმძღვანელობენ. ამავე დროს ოსმალეთის პოლიტიკა ცვალებადია. ამ ცვალებადობის მაჩვენებელია, თუ გნებავთ, გერმანულ კრეისერების „ბრესლაუსა“, და ,,გებენის'' ყიდვა. ეჭვი არ არის, რომ ოსმალეთმა ეს კრეისერები აგრესიულ მიზნებისთვის შეიძინა. მაგრამ როცა სამთშეთანხმების მთავრობებმა ამას ყურადღება მიაქციეს, ოსმალეთმა რუსეთს, საფრანგეთს და ინგლისს ნეიტრალიტეტის დაცვის სურვილი განუცხადა.

კრეისერების საკითხში სამთა შეთანხმება აგრესიულ ზომებს არ მიმართავს და იმით დაკმაყოფილდება, თუ ოსმალეთი იარაღს აჰყრის გემებს და ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს. ასეთი ნდომა რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისისა ოსმალეთის თავმოყვარეობისთვის ხელსაყრელია და მრავალი გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე იმის მომხრეა, რომ ნეიტრალიტეტი, მართლა, დაცულ იქმნას.

ნეიტრალიტეტის მოწინააღმდეგენი კი იმ აზრისანი არიან, რომ გერმანიასთან კავშირიდა ომში მონაწილეობის მიღება ბევრ სარგებლობას უქადის ოსმალეთს. ასე მაგალითად, ნეიტრალიტეტის მოწინააღმდეგენი ფიქრობენ, რომ ომში ჩარევით ოსმალეთი მაკედონიას დაიბრუნებს და ამით თავის ძველ სიძლიერეს აღადგენენ

ქუთაისი

ახალი ამბავი.

მეფის მოადგილის კანცელარია, ხელმეორეთ სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას გაეგზავნოს მას საჭირო ცნობები კავკასიის კალენდარის შესადგენათ.

◆ ქალაქის გამგეობაში, ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ შემოწირულება უკვე შემოდის.

◆ ქ. ფოთის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევა მომავალ ოთხი წლისათვის (1914 — 1918) მოხდება ამა წლის 8 სეკტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში.

◆ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, გარდა პირველსა და მეორე განყოფილებისა, თავისუფალი ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოვება.

◆ დ. ოჩემჩირის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის თავჯდომარეთ აირჩიეს ბ-ნი ევგენი ბოკერია.

◆ დ. ოჩემჩირეში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის შენობა უკვე დაამთავრეს და პირველ ამ თვიდან ბანკის წარმოება ახალ შენობაში ხდება.

◆ გუშინ, 14 აგვისტოს, ქუთაისში თფილისის გაზეთები არ მოსულა.

◆ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, ყანებს კარგი პირი უჩანს. შარშანდელი მოუსავლობა გლეხებისათვის საგრძნობელი შეიქნა. ამჟამად საყიდელ სიმინდსაც ვეღარ შოვობენ. მცხოვრებლები ცუდ მდგომარეობაში არიან.

◆ 18 აგვისტოს ოლქის სასამართლო გაარჩევს დავით ჩხეიძის, ვლადიმერ გაბუნიას და სოლომონ გოგიავას საქმეს.

◆ 13 აგვისტოს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, ქალაქის თავის ბ. ი. მ. ჩიქოვანის თავჯდომარეობით.

◆ ხვალ, 16 აგვისტოს, საზოგადო საკრებულოს საზაფხულო შენობაში შესდგება საოჯახო საღამო, ლოტო და ცეკვა. შემდეგი საღამო დანიშნულია სამშაბათს, 19 აგვისტოს.

◆ 13 აგვისტოს ქალაქის სანიტარებმა: ვ. ბექანიშვილმა და ი. ჩაჩანიძემ ჩამოიარეს წყალ-გაღმა უანი. და მეხილეებს ცუდი ხილის გაყიდვა აუკრძალეს. სანიტარებმა ამ დღეს მეხილეებს 3 „ტაჩკა„ საზამთრო გადაუყარეს.

◆ ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომები 9 სეკტემბერიდან დაიწყება.

შეცდომის გასწორება:

ამ გაზეთის მეოთხე გვერდზე მოთავსებულ **ლეგენდიდან** ასოთ-ამწყობს შეცდომით გამორჩენია აქვე ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები. ეს შევნიშნეთ მაშინ, როცა გაზეთის პირველი და მეოთხე გვერდი უკვე დაიბეჭდა; ამიტომ ამ შეცდომას აქვე ვასწორებთ. ეს სტრიქონები ჩაემატება ლეგენდას ზემოდგან 26 და 27 მწკარებს შუა ამნაირათ:

„ჯოგიდგან ახალ-ახალ ბედაურებს მოართმევდენ ხოლმე.

ერთხელ მეჯოგეებმა მეფეს მოახსენეს, რომ ეს ერთი ხანია თქვენ ჯოგში ზორბა ტანის რაშის მზგავსი ჯორი გამოერევა ხოლმეო. ჩვენ მივდივართ ამ ჯორთან, დავიჭერთ ხოლმე, ვეთამაშებით, ზედაც ვჯდებით, გავატარ-გამოვატარებთ, მაგრამ მოახლოვდება საღამო ჟამი თუ არა, ანაზდეულათ უჩინარი შეიქმნება და ჰქრება ხოლმეო. მეფე მაშინვე მიხვდა, რომ ეს ღვთისაგან ნამდვილ ჩემთვის არის გამოგზავნილი რაღაცაო; მოატანინა დაუყოვნებლივ მაგარი რკინის ლაგამი, აკურთხებინა მოძღვარს რკინის ჯვარი, შეაბა ამ ლაგამს და მისცა მწყემს-მეჯოგეებს და უბრძანა: როცა გამოჩნდეს ჯოგში ის ჯორი, თქვენ ეს ლაგამი მოფარებით მიაპარეთ და ეცადეთ, რომ სალაგმეში ამოსდვათ, რის შემდეგაც მისი უჩინრათ ყოფნა შეუძლებელი გახდება და მერე აქ მომგვარეთო. მწყემსებმა პირწმინდათ შეასრულეს მეფის ბრძანება და მესამე დღეს ალაგმული დაჭერილი რაშის მზგავსი ჯორი მეფეს მოართვეს.

ამის შემდეგ მეფე თურმე ამ ჯორით დადიოდა. ამ ჯორს, თურმე, არც საჭმელი უნდოდა და არც სასმელი. ამასთანავე დაღალვ-დაქანცვის...“ და სხვ.

—

პაპა პიჲ X.

(სიკვდილის გამო).

როდესაც კონკლავის სხდომების დროს რომში ხმა გავრცელდა, რომ პაპის ტახტზე ვენეციის პატრიარხი მონსინიორ ჯუზეპპე სარტო აყავთო-- ასეთ ხმას ბევრი გაოცებით და დაცინვით შეხვდა.

— ნუ თუ სარტო? ვიღაც „სოფლის ღვდელი'', რომელიც ორ სიტყვას ვერ გადააბავს ერთმანეთს?!

მაგრამ აქამდი უცნობი სახელი ახლა ყველას პირზე ეკერა.

ვინ არის ვენეციელის მომხრე, ვის მოუვიდა თავში ასეთი უცნაური ფიქრი?

კითხულობდნენ და პასუხი ერთი იყო:

— იეზუიტებს.

პაპი ლევ XIII 20 ივლისს მოკვდა. აგვისტოს დასაწყისში კი კარდინალ რამპოლლას ორი მესამედი ჰყავდა ამომრჩეველ ხმებისა. მის კონკურენტზე ფიქრი შეუძლებელი იყო.

მაგრამ აი, კონკლავის კრება დაიწყო. ეს იყო 2 აგვისტოს სხდომაზე, დილით, კრაკოვის არხიეპისკოპოსი პუზინა წამოდგა და ავსტრიის იმპერატორის და უნგრეთის მეფის ფრანც იოსების სახელით განაცხადა:

— ვაცხადებ Veto ს კარდინალ რამპოლლის პაპათ არჩევის შესახებ.

ეს იყო ყუმბარა, რომელსაც დამსწრეთაგანი არავინ ელოდა.

კარდინალები დაიბნენ.

კარდინალ რამპოლლის კანდიდატურის უკუგდებით, ძალაუნებურათ ისეთი კანდიდატი უნდა გამოენახათ, რომელიც ყველა ამრჩევლის ხმას მიიღებდა, და 72 კარდინალთა შორის ასეთ ადამიანათ ვენეციის პატრიარხი, მონსინიორ ჯუზეპპე სარტო გამოდგა.

მის მთავარ ღირსებას შეადგენდა:

— სრული უპირადობა და პოლიტიკური ინდიფერენტიზმი.

როგორ მოექცა თვით ჯუზეპპე სარტო თავის კანდიდატურას?

ვინც კი მონსინიორ სარტოს იცნობდა, მისი პირადი და პოლიტიკური მტრებიც ერთ რამეში თანახმანი იყვნენ:

— სარტო მართალი, სპეტაკი და გულწმინდა ადამიანია. მისი „ჰო“ მუდამ „ჰო“ არის!

მრავალი იმისი მოწმე, რომლებიც კატეგორიულათ ამტკიცებენ, რომ მონსინიორ სარტო წინააღმდეგი იყო თავის კანდიდატურისა კონკლავზე და აღელვებული ემუდარებოდა ყველას:

— განა მე გამოსადეგი ვარ ამ დიდ ადგილისთვის და ისიც ასეთ მძიმე დროს? მე ხომ უბრალო სოფლის მღვდელი ვარ! ღვთისა და მადონნას გულისთვის ნუ მღუპავთ! გამიშვით ვენეციაში!

მაგრამ მონსინორ სარტოს ბედი სხვებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ.

4 აგვისტოს, 1903 წელს, კონკლავმა დიდის ზეიმით განაცხადა:

— პაპათ არჩეულია ვენეციის პატრიარხი. მონსინიორ ჯუზეპპე სარტო.

ამ რიგად პეტრე მოციქულის ტახტზედ ას მეთორმეტე პაპათ ავიდა პიჲ X.

ვატიკანში პაპმა პიჲ X თერთმეტი წელიწადი იცხოვრა და, როგორც მისი წინამოადგილენი, ისიც ,,ვატიკანის ტყვეთ'' ითვლებოდა,

,,ცხოვრება და მეცნიერება'' № 1.*)

ამ გამოცემას, რომლის ინიციატივაც ადესელ სტუდენტებს ეკუთნის, დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. ქართული ლიტერატურა პირველად ეღირსა მეცნიერულ კრებულს. რომელშიაც ისტორიასთან ერთად ბუნებისმეტყველებასაც უჭირავს ადგილი.

დავიგვიანეთ კი, ბევრი გვყავს ნასწავლი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტაა მათ შორის მუშაკი, თვარა, ჩვენს ინტელიგენცია, რომ შრომა არ დაზარებოდა, დღეს უკვე მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა გვექნებოდა.

პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია და პირველ ქართველ მკვლევარს აუარებელი დაბრკოლება ელობება წინ, რადგან ჯერ არც ტერმინოლოგიაა დამუშავებული და, ასე გაშინჯეთ, არც მართლწერა. ამიტომ ავტორებს გული არ უნდა დაწყდესთ და გულდამშვიდებით უნდა მოისმინონ, თუ ვინმე მათ შეცდომებზე მიუთითა: სამეცნიერო მიზანი უნდა სძლევდეს პირად ლიტერატურულ თავმოყვარეობას.

განვიხილავ ჯერ ბ.ბ. ნიკ. კახიანისა და პ. პ. ქავთარაძის შრომას, რომელსაც სათაურად აქვს: უჯრედი და ქსოვილი.

1) არ არის აღნიშნული, რატომ უნდა ვუწოდოთ უჯრედს ,,ორგანიზმის ელემენტარული შემადგენელი ნაწილი''. თუმცა ავტორების შრომაშივე არის ჩამოთვლილი უჯრედის, როგორც ორგანიზმის, ნიშნობლივი თვისებანი, მაგრამ საჭირო იყო თავიდანვე საერთოდ იმის აღნიშვნა, რომ უჯრედს აქვს უმთავრესი თვისებანი დიდი, განვითარნბული ორგანიზმისა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო უჯრედის დაპირისპირება, შედარება განვითარებულ ორგანიზმთან, რომ გაეგო მკითხველს, რატომ, რა პირობით არის უჯრედი ორგანიზმი. ცხადია, ამგვარ აღნიშვნას შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ელემენტარული ორგანიზმის თითოეული არსებითი თვისების აღნიშვნა.

2) უჯრედის შუაგულში მდებარე [illegible]ლებას ავტორნი უწოდებენ ბირთვს აგუნდს. ჩემი ფიქრით [illegible] დოთ გული (Nucleus, ядро).

3) არ არის აღნიშნული, გულში მდებარე გულუკა.

4) აღნიშნულია, რომ უგულოდ უჯრედის პროტოპლაზმას (ტანს) სიცოცხლე არ შეუძლიაო. მაგალითად, ინფუზორია (ერთ უჯრედიანი მდაბალი ცხოველი) „არა ერთხელ უქცევიათ ნაკუწ-ნაკუწად და ყოველთვის მხოლოდ ინფუზორიის იმ ნაწილს შესძლებია სიცოცხლის გაგრძელება, რომელსაც ბირთვის (გულის) ნაჭერი შერჩენია''. ეს მართალია. მაგრამ უნდა აღნიშნულიყო პროტოპლაზმის (ტანის) მნიშვნელობაც ამ მხრით; გულს უპროტოპლაზმოდ სიცოცხლე არ შეუძლია და, თუ ინფუზორიის ის ნაწილი, რომელსაც გული გაყოლია ინფუზორიის დაკუწვას შემდეგ, განახლებულა და გადაქცეულა კვლავ ინფუზორიად,—მიტომ, რომ გულს თან კიდევ მცირეოდენი პროტოპლაზმაც შერჩენია.

5) არ არის აღნიშნული, როგორი ქიმიური ელემენტებისაგან შესდგება უჯრედი.

6) სისხლის თეთრ სორსლებზე (თუ ბურთუკებზე?), ან ლეიკოციტებზე, ავტორნი ამბობენ: როდესაც სისხლში, არიან „რგვალ ფორმას ინარჩუნებენ, მაგრამ, თუ კი საჭიროება მოითხოვს, მათ შეუძლიათ ამებასავით ცრუ ფეხები გამოჰყონ, სისხლის გამტარებელი მილის კედლებს მიეკრან და მათ ჭუჭრუტანებში გადაძვრენ''. ვფიქრობ, რომ ამ ნათქვამში ბუნდოვანებაა: სჯობდა, ეთქვათ: როდესაც ლეიკოციტი სისხლში ცურავს, მრგვალია, როდესაც კი სისხლის კედლის მილს მიეკვრება,—ამებასავით გამოყოფს ცრუ ფეხებსა და, ამიტომ, მისი ფორმაც შეიცვლება ხოლმე.

7) არ არის აღნიშნული, რომ არაპირდაპირი გაყოფა უჯრედისა არა სწარმოობს ერთუჯრედიანი მდაბალი ცხოველების გამრავლების, ან განმწვალვის დროს.

8) ეპიტელიალური ქსოვილის შესახებ სწერია: „ხსენებული ქსოვილის დანიშნულებას შეადგენს, როგორც გარეთა ზედაპირის (მაგ. კანის), ისე სხეულის სიღრუვის შიგნითა კედლების დაფარვა“. ვფიქრობ, რომ ეს არ ეთანხმება ჭეშმარიტებას. მაგალითად, მკერდის ფოლოს შინაგანი ზედაპირი არ არის დაფარული ეპიტელით. არ არის ეპიტელით დაფარული აგრეთვე არც მუცლის ფოლო, არც გულისა და არც სისხლის მილების ფოლოების შინაგანი ზედაპირები. ეპიტელით მხოლოდ ის შინაგანი ფოლოებია დაფარული, რომელთაც გზა ხსნილი აქვთ გარესკნელისკენ: მაგალითად, პირი, საყლაპავი მილი, კუჭი, წვლები და მათი ჯირკვლები. ის შინაგანი ფოლოები კი, რომელნიც დახშული არიან გარესკნელისაგან, არიან დაფარული ენდოტელით.

9) არ არის ნახატი ხრტილისაგან ძვლის წარმოშობისა, რის გამოც მკითხველს ძლიერ უძნელდება ამ პროცესსის გაგება.

10) არ არის არც აღწერილი და არც დახატული ნერვის ძაფი მისი ქარქაშებითურთ.

11) ვერ არის კარგად დახატული არდიგარდა ზოლიანი კუნთის უჯრედი და მისი გარეგანი გარსი—სარკოლემა.

რაც შეეხება ტერმინოლოგიას, უმჯობესი იქნებოდა, ჩემი ფიქრით:

1) ,,ერთკეციანი ეპიტელი“, ,,ბევრკეციანი ეპიტელი'' და არა ,,ერთფენიანი'' ან ,,ბევრ-ფნიანი'' ეპიტელი. სიტყვა გაფენა ნიშნავს გაშლას. დაკეცვა კი დაწყობას. მაშასადამე, როდესაც ნივთები ერთმანეთზეა დაწყობილი, ვამბობთ: ორ-კეცად, მრავალკეცად არის დაწყობილითქო. სიტყვა ,,ფენილი'' კი შეგვიძლია ვიხმაროთ რომელიმე პტყელი ორგანიული ქსოვილის აღსანიშნავადა და უდრის რუსულ ,,პლასტინკას''.

2) სჯობს, ვიხმაროთ სიტყვა ,,ფოლო'' და არა „სიღრუე“, „ფოლოიანი“ და არა „ღრუ“, რადგან პირველი სიტყვა უფრო გასაგებიც არის და უკეთაც ხატავს მცნებას.

3) „მოციმციმე ეპიტელს“ „ბეწვებიანი“ ეპიტელი“ სჯობია.

4) ამას გარდა ვერ შევრიგებივარ ზედშესრული სახელის დაბოლოების მოკვეცას ნათესაობით ბრუნვაში. უნდა ითქვას: „სისხლის მილების გამტარებელი მილების სისტემა“ და არა: „სისხლის მილების გამტარებელ მილების სისტემა.

5) თუ ქვემდებარე უსულო საგანია, მის მრავლობით რიცხვს შესმენილის მხოლოობითი შეეფერებაო, გვეუბნებიან ჩვენი გრამატიკოსები. მაგრამ გისტოლო-

---

*) გუშინ შეცდომით გვქონდა ახალ ამბებში მოხსენებული, რომ ამ წიგნში 160 გვერდამდეაო, „უნდა იყოს: სამას სამოც გვერდამდე.

რედ.

ხნიდან მიცემული ავანსათ მისაღები ქაღალდისთვის, ბ. კაკაბაძეს გადავეცი შვიდი თუმანი გამოცემისთვის საჭირო ხარჯებისთვის. ამის მეორე დღეს ბ. კაკაბაძეს ანგარიში მოვსთხოვე, თუ რაში დახარჯა მან მიცემული ფული, მაგრამ მან გამიცხადა, რომ ის ფული შემომეხარჯა სხვა რამეზე და კიდევ მინდაო“, უკვე სხვა კილოთი. ამას გარდა, ვინც მხვდებოდა, ყველა პროტესტს მიცხადებდა, რატომ დაიჭირე კაკაბაძესთან საქმეო, წერილებიც მივიღე. ერთი წერილი ბ. ვასილ ედილაშვილმაც კი მიიღო. მალე ვიგრძენი, რომ ბ. კაკაბაძესთან საქმის თანხმობით გაგრძელება შეუძლებელი იყო, ამიტომაც მესამე დღესა ღამით, ძალიან აღელვებული შევიარე ბ. სილ. გაბუნიასთან და ვსთხოვე მოესპო პირობა და მზათ შვიდ თუმანზეც ხელი ამეღო. ბ. სილ. გაბუნიამ დამპირდა, კარგიო! მაგრამ, ამის ნაცვლად მეორე დღეს მიეგნო ერთი ჩემი კარგი ნაცნობი. მოიყვანა ჩემთან და მასთან ერთად მთხოვა, „ნუ ამბობ უარს, გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ საქმეს მე მოვაგვარებო. მე ძალიან აღელვებული ვიყავი და ისევ უარზე ვიდექი. ბ. კაკაბაძემ აღარ ისურვა არას გზით თავის დანებება და, რომ საქმე არ შეჩერებულიყო, რადგან ხელისმომწერლებისგან ბევრი საყვედური მომდიოდა, გადავწყვიტე გამეგრძელებია პირობის შესრულება, მაგრამ ბ. კაკაბაძე ყოველის მხრით ხელს მიშლიდა: ჩვენის გამოცემისთვის მიცემულ ქაღალდს კერესელიძის სტამბაში გზავნიდა თავის სულ სხვა ბროშიურებისთვის. ფულსაც თავის საჭიროებისთვის ხარჯავდა. კლიშეების გამოსაყიდი ფული ერთი გზობა წაიღო და მესამე დღეს, როცა ანგარიში მოვსთხოვე, გამიცხადა: „სულ ერთად რომ არ მომეცი, დამეხარჯა!..

ბ. კაკაბაძეს პოემის ტექსტი საკმაოდ ბევრი ქონდა და ჯერ კიდევ დასაბეჭდი ჩემთან ხელშეკრულობის დადების დროს და „ვეფხის ტყაოსნ“-ის გაგრძელებაც ჯერ დაწყებული არა ჰქონდა. ამასთან, რადგან ყველაფერში სრულს სოლიდარობას მიცხადებდა, მეგონა, უგვან საქმეს არ ჩაიდენდა და ჩემთან თანხმობით ნანუჩას და სხვების გაგრძელებას რუსთვლის ნაწარმოებად არ აღიარებდა, მაგრამ ის კი არა და-—ყველაფერს მიმალავდა, და, ასე გასინჯეთ, დროს რომ დამინიშნავდა გამოცემის შესახებ მოსალაპარაკებლად, არასოდეს დაპირებას არ მისრულებდა.

გამოკვლევა, თუმცა ბ. კაკაბაძის ხელით დაწერილის განცხადების თანახმად, ჯერ მისი წერილი უნდა ყოფილიყო, მისი სიტყვით, ჯერ მზათ არა ჰქონდა. ამიტომაც ჩემი, ჯერ საკმაოდ გადაუხედავი, გამოკვლევა გადასცა სტამბაში კოლონებად ასაწყობად და ისიც, ჩემდა დაუკითხავად, თავის გემოზე შესცვალა. გაზეთებიდან ამოღებული მთელი ჩემი წერილი რუსთველის შემოქმედების შესახებ სრულებით ამორიცხა. მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ მიბრუნებდა კორექტურულ ფურცლებს. ერთხელ მთელი კვირა ვეცადე მენახა სადმე და, რომ შევხვდი, გამიცხადა: „ხვალ მუზეუმში შემოიარე და იქ მექნება კორექტურული ფურცლებიო“. მაშინ კი საჩქაროდ გაჩნდებოდა, თუ ფულის მიღებას ელოდა.

ჩემი ლექსიკონი წაიღო, შესადგენად კი არა, როგორც ის ბრძანებს,—ეს ხომ საოცრება იქნებოდა--ხანათა ციფრების გამოსაცვლელად, მითხრა: „ეგ მე უფრო მემარჯვებაო“, ვითომდა სიჩქარისთვის, მაგრამ მთელი თვენახევარი გამიჩერა და შემდეგ ისევ ხელ-უხლებელი დამიბრუნა. თუ რამდენად პატიოსანია ბ. კაკაბაძის 20 დეკემბრის თარიღი, როდესაც მას ვითომდა დაწერილი ჰქონია წინასიტყვაობისთვის გამოკვლევა, ეს იქიდან სჩანს, რომ მასში შეტანილია ჩემ მიერ აღდგენილი ტექსტი „ზააქიანი“-ს წინასიტყვაობიდან,--რომელიც უკვე დასტამბული მაქვს შინ,- ციტატებად. ეს ციტატები ბ. კაკაბაძეს ნასესხები აქვს ჩემი ხელნაწერებიდან, რომლებითაც ბ. კაკაბაძე სარგებლობდა. ეს ციტატები ჩემი აღდგენილი ტექსტიდან მოყვანილი მაქვს ხელნაწერებში ისე, როგორც ჩემს აღდგენილ ტექსტში, შეცთომებით, რომლებსაც ბ. კაკაბაძეც იმეორებს. აბა დაამტკიცოს ბ. კაკაბაძემ, რომ მე ხელთ მქონია, მასთან მუშაობის დროს, ერთხელ მაინც მისი ხელ-ნაწერები, ჩემი კი, პირ-იქით, მას ხელთ ჰქონდა, სტამბაში მიქონდა და, როცა სურდა, შეეძლო ესარგებლა. ამის დამტკიცება ძნელი არ არის. აი აბა ამას ჰქვია, რომ იტყვიან: ,,Съ больной головы на здоровую''.

იუსტინე აბულაძე.

◆

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა ჰ ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურა მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

გიაში, ვფიქრობ, არ უნდა ჰქონდეს ადგილი ამ დებულებას, რადგან აქ უსულო არაფერია.

და უსულოდაც რომ ჩავთვალოთ უჯრედის ზოგიერთი ნაწილი, მის მოძრაობასა და მოქმედებას ისეთი ხასიათი აქვს, თითქო ისე მოძრაობდეს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. ამიტომ უნდა იყოს: „ქრომოსომების (მოკაკული ძაფების) შეერთებული თავები ცენტრისკენ **არიან** (და არა **არის**) მიქცეული“.

ასარა.

* * *

ლეგენდა

დავით აღმაშენებლის რაშის შესახებ.

გაზეთ „იმერეთი“-ს 125 ნუმერში წავიკითხე ვინმე ბ. კ. ქ. ლეგენდა „გელათის ტაძრის აშენების“ შესახებ, რომელშიაც მოთხრობილია დავით მეფის რაშის დაჭერის ამბავი. ვინაიდგან ეს ლეგენდა მე სულ სხვანაირათ მაქვს გაგონილი და ჩაწერილი, ამისათვის საჭიროთ მიმაჩნია იმისი გაცნობაც.

მოგეხსენებათ, რომ დავითის ტახტზედ ასვლის დროს საქართველო დანგრეულდაქცეული იყო: ყოველ მის კუთხეს სხვა და სხვა შემოსეული მტრები დაპატრონებოდენ, რის გამოც მისგან სამეფო მოითხოვდა, როგორც ამ მტრების გარეკას, ისე აღდგენა-აშენებას. მხნე და გამჭრიახი დავითი დაუყონებლივ შეუდგა თავის სამეფოს სასიკეთო მოქმედებას, რისთვისაც არც დღე, არც ღამე მოსვენება არ ჰქონდა. დაბრძანდებოდა თურმე ცხენით და, ვინაიდგან დავითი მეტად ახოვანი და ბრგე ტანადობის იყო, თითო მგზავრობის (ე. ი. ერთხელ შეჯდომის) შემდეგ მისი ცხენი აღარ ვარგიყო მოქანცულობის და დაღლილობის გამო. ამისათვის ყოველ ახალ მგზავრობის დროს, ყოველთვის თავის ცხენის ჯოვის არა იცოდა რა თურმე. თანაც ისეთი მაღალი და სწრაფი იყო, რომ მეფე საუზმეს რომ ქუთაისში მიირთმევდა, სადილათ თბილისში მიბრძანდებოდა ხოლმე. ციხე-სიმაგრეების და ტაძარ-ეკლესიების აშენებას ამ რაშის მეოხებით საქართველოს ყოველ კუთხეში თვითონ ჰხელმძღვანელობდა თურმე. დარუბანდის რკინის ალაყაფის კარებიც გელათის მონასტერში ამ ჯორით ჩამოიტანა თურმე, დიდხანს მეტად დიდხანს ემსახურა დიდებულ მეფეს ეს ღვთისაგან მოვლენილი ცხოველი. მეფემ უკვე მიაღწია თავის დიად საწადელს: საქართველოს მტრები მიჰფანტმოჰფანტა, საყვარელი სამშობლო აღავსო მაგარ ციხე-კოშკებით და დიდებულ ტაძარ-მონასტრებით, რითაც თავის ერს ბედნიერება მიანიჭა. ამასობაში მოხუცებულობაც შემოეპარა. ერთხელ, თფილისში ყოფნის დროს, სადაც არაბების გარეკის შემდეგ ქუთაისიდან გადაიტანა თავისი ტახტი, მოისურვა გელათის მონასტერში მიბრძანება და მისი სიწმინდის თაყვანისცემა. სამხრობის ჟამი იქნებოდა თურმე, როცა დავითი თავის რაშით გელათის მონასტერში შემობრძანდა და პირდაპირ გაეშურა დიდ ტაძარში ღვთისმშობლის თაყვანის საცემათ. ჯორი კი ერთ ბერს მისცა ხელში დასაჭერათ ბერმა იფიქრა, ყვანის საცემაც. ჯორი კი ერთ ბერს მის რომ ამ საწყალ ჯორს ამდონი მგზავრობის შემდეგ წყალი ეწყურებაო, და მიიყვანა თურმე სამრეკლოს ქვეშ გამოყვანილ წყალთან და ლაგამი წაჰყარა, (დაჭერის დღიდან ლაგამი არ წაყრია) წყალს უფრო კარგათ დალევსო, ლაგამის წაყრა და ჯორის ეშმაკათ გადაქცევა, წყლის მილში შევარდნა და გაქრობა ერთი იყო,

როდესაც ეს ამბავი მეფეს მოახსენეს, ბრძანა თურმე, რომ ეგ მისთვის მოხდა, რომ მე დიდხანს ველარ ვიცოცხლებო. და, მართლაც, ამის შემდეგ საქართველოს აღმაშენებელმა მალე ღვთით განისვენა და დასაფლავებულ იქმნა თავის მიერ აგებულ დიდებულ გელათის მონასტერში.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვიხადო პატივცემულ მკითხველ საზოგადოების წინაშე, რადგან ჩემ მიერ გამოცემული გალ. ტაბიძის წიგნი დღემდი ვერ დავურიგე ხელისმომწერთ. მიზეზი ის იყო, რომ, როდესაც წიგნები უკვე გამზადებული მქონდა აგენტებთან გასაგზავნათ, დამაპატიმრეს, რამაც შემიშალა ხელი- დროზე დამერიგებია.

ახლა ვთხოვ აგენტებს მაცნობონ ადრესები და რამდენი ფული აქვთ გამოგზავნილი, რადგან ყოველივე ანგარიშები და მიწერ-მოწერა, ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ხელთ არ მაქვს, და ამით მომცენ საშუალება წიგნების დროზე გაგზავნისა.

ჩემი მისამართი: Кутаисъ, 2-ая Александровская ул., Тутку Гварамія.

პატივისცემით ტ. გვარამია.

P. S. ვთხოვ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი. ტ. გ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ქუთაისში
თბილისში
ქარხანა
საუკეთესო ხილეული
1900

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკვენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. $^1/_2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ექიმის იკ. ბოკერიას
საავათმყოფო
გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

„ცხოვრება და მეცნიერება“

ვინაიდგან კრებული უკვე გამოვიდა, ამისათვის ვთხოვთ აგენტებს, რათა წაღებული კვიტანციის წიგნაკები დაგვიბრუნონ. მოგვყავს სია აგენტებისა:

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია თბილისში.
წიგნები № 11 და № 12.
სტუდენტი ლადო ძლენტი № 38 და 39 (ოზურგეთი). სტუდენტი მიშა იაშვილი № 41 (ჭიათურა). სტუდენტი ლევან ქორქაშვილი № 42. სტუდენტი გერასიმე კუპრაშვილი № 43. სტუდენტი კოწია კოკორაშვილი № 44. მუშნი დადიანი № 46.

აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც კერძოთ გადაცემული აქვთ წიგნაკები 23 ნუმრიდან ვიდრე 35-დი, ვთხოვთ დააბრუნონ საჩქაროთ.

მისამართი: Кутаисъ. Книжный магазинъ К. Оцхели.
სარედაქციო კომისია.

შექსპირი ქართულად!
გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.
მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ
შექსპირის
რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ს შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

განცხადება.

ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში მომავალი სასწავლ წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოვება. თავისუფალ ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყ ფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმ ბებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 2 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებ თა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ცაგარეიშვილ

ამ დღეებში
ქუთაისში გამოვა ალმანახი
„ქუთაისის საქმიანობა“.
ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Ивановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის
აბანო.
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

მუშაობს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ქორქოლაძეების
სამკურნალო აბანო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენე რიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილ ბანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფა
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.